საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

იოანე, სტეფანე და ესაია ქართველნი

იოანე, სტეფანე და ესაია ქართველნი, სასულიერო მოღვაწეები, წმინდანნი და მართალნი. წმ. დასში მართლად იწოდებიან ის ქრისტიანები, რ-ებმაც თავიანთი ცხოვრება ღვთის დიდებას და ერის სამსახურს მოახმარეს.

საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში „მართლის" წოდებით ოთხი წმინდანი სახელდება: ილია ჭავჭავაძე, იოანე, სტეფანე და ესაია. ცნობები ბოლო ამ სამ წმინდანზე საკმაოდ მწირია, თუმცა დასტურდება, რომ სამივე იერუსალიმში მოღვაწეობდა და ქრისტეს საფლავის საპატიო მცველები იყვნენ.

საქართველოს ეკლესიამ მათი ხსენების დღედ 4 (17) ნოემბერი დაადგინა.

ლიტ.: ქართველ წმინდანთა ცხოვრებანი, რედ. ა. მიქაბერიძე, თბ. – ათენი, 2003.